პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!



წითელი მეომარი

1923
ივლისი
31
სამშაბათი
შესან. მოვლენათა დღიური
1552 წ. ქ. ყაზანის დაპა-ბა.

წელიწადი მესა.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური
ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 330 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი. ფასი 50,000 მანეთი. № 330

მენშევიკური პარტიის ორგანიზაციების ლიკვიდაციის გამო.

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი ცხოვრების პოლიტიკურ სფეროში ხდება მეტად ღირსშესანიშნავი და ისტორიული მნიშვნელობის ამბები.

მენშევიკური პარტიის ორგანიზაციების ლიკვიდაცია მიდის საქართველოს ყველა კუთხეებში დიდის ენტუზიაზმით.

ამ ბედშავ პარტიას ასამარებს არა საბჭოთა ხელის-უფლება, არამედ თვით ამ პარტიის წევრები, რომლებმაც შეიგნენ თავისი შეცდომები, მენშევიკური პარტიის ტაქტიკის უვარგისობა.

ამრიგად, ექვსი თვის წინედ დაწყებული რღვევა და დაშლა მენშევიკური პარტიის რიგებისა, მიდის თავის ლოღიკურ დასკვნამდე.

ამ მოკლე ხანში შესდგება ყოფილ მენშევიკების ყრილობა საქართველოს მასშტაბში, სადაც სამუდამოთ ხაზი წაესმება მენშევიკური პარტიის არსებობას და მისგან დარჩება —მხოლოდ და ისტორიული არქივი.

ასე უსახელოდ და სამარცხვინოდ დალია სული ამ პარტიამ.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მენშევიკების მიერ აღებული ხაზი, რომელიც მიმართული იყო მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ უნდა დასამარებულიყო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებით.

მენშევიზმი თავიდანვე პროლეტარული რევოლიუციის დაწყებისა, წინ აღუდგა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას და დაუპირდაპირა მას დემოკრატიული იდეა.

თავიანთ მიზნის განსახორციელებლად, მენშევიკები მიეკედლნენ ბურჟუაზიას, კონტრ-რევოლიუციას და მასთან ერთად დაუწყეს ბრძოლა პროლეტარიატს.

გადამწყვეტ ჟამს ისტორიულ ბრძოლას შრომისა და კაპიტალს შორის, მათ გასწყვიტეს ყოველივე კავშირი მუშათა კლასთან და გადავიდნენ კონტრ-რევოლიუციის და რეაქციის ბანაკში.

კერძოდ საქართველოში, მენშევიკებმა ითამაშეს მეტად სამარცხვინო და საზიზღარი როლი. დაჰკარგეს რა ბატონობის ტახტი პროლეტარულ რუსეთში მათ მოიკალათეს თავი ჯერ ამიერ კავკასიის ფარგლებში, ხოლო შემდეგ კი საქართველოში.

თავისი სამი წლის არსებობის ხანაში მათ მხოლოდ ხელი შეუწყვეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად განადგურებას და პოლიტიკურად დასუსტებას.

ნაცვლად ინტერნაციონალური სოლიდარობისა და კეთილ მეზობლური განწყობილების დამყარებისა, მათ გააღვივეს საშინელი მტრობა და შური ამიერ-კავკასიის ერებთა შორის.

ამიერ - კავკასია წარმოადგენდა ეროვნული ანტაგონიზმისა და სისხლის მღვრელ განმანადგურებელ ომების ბუდეს.

მენშევიკებმა, ნაცვლად ყველა პროლეტარული ძალების გაერთიანებისა, ხელი შეუწყვეს მის დაქუცმაცებას და დანაწილებას.

ასეთია სამარცხვინო როლი მენშევიკური პარტიისა რევოლიუციონურ, პროლეტარიატის განმანთავისუფლებულ მოძრაობის ისტორიაში.

ისტორიამ მაინც თავისი გაიტანა და გამარჯვება მიანიჭა საბჭოთა ხელისუფლებას.

დღითი დღე იზრდება და ძლიერდება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რითაც უმჯობესდება მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობები.

ეს შეიგნო აგრეთვე იმ მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ მენშევიკურ პარტიაში. შეიგნეს რა თავისი შეცდომები, ისინი დღეს ასამარებენ თავის პარტიას და მტკიცედ და შეურყევლად სდგებიან საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზედ.

მენშევიკურ პარტიას ასამარებს თვით მისი წევრები. ამაზედ სამარცხვინო აღსასრული შეუძლებელია.

დღეს ჩვენ ვზეიმობთ კიდევ ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას და სიხარულით ვეგებებით გამოფხიზლებულ მუშებს—ყოფილ მენშევიკებს, რომლებმაც მთელი ქვეყნის მუშების გასაგონად აღიარეს მენშევიკური პარტია, როგორც მუშათა კლას ს მტერი და მოღალატე.

პთისა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას თან მოჰყვა სასოფლო მეურნეობის თანდათანობითი აღორძინება. ამ გარემოებას ხელს უწყობდა, მიწის მფლობელობაში ძველი ნაშთებისაგან განთავისუფლება, და სამიწო რეფორმის ჩქარი ჩატარება. მეორე მხრივ საბჭოთა ხელის უფლება დიდ ყურადღებას აქცევდა წესიერი ინტენსიური მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად სხვა და სხვა სამეურნეო საშვალებათა გამონახვას.

ამ მიზნის მისაღწევად მას არ დაუზოგავს არც ერთი საშვალება და მის ასეთ დაჟინებითი განზრახვას მშრომელი ხალხის ფართო მასებიც ალტაცებით ხვდებოდა და ყოველ მხრივად დახმარებას უწევდა.

სასოფლო მეუნეობის ნოყიერებისათვის ჩვენში, ერთ საუთესო დაწყებას წარმოადგენს საბჭოა ხელისუფლებისაგან სამელიორაციო მიმართულებით წარმოებულ მუშაობა.

ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით ჩვენში და ბევრის გაკეთებაც არის განზრახული.

მეტად საყურადღებოა ამ მხრივ მთავრობის განზრახვა ქართლის გულში მდებარე ვებერთელა ტირიფონის ველის მორწყვის შესახებ.

როგორც ცნობილია ისტორიულად, ხსენებული ველი ჯერ კიდევ თამარ მეფის დროს ირწყვებოდა თურმე ვებერთელა არხით. ამ ძველი არხის ნიშნები ეხლაც მოიპოვება და მენშევიკების დროსაც იყო განზრახული მისი აღდგენა მაგრამ ვერ მოხერხდა. ეხლა კი ქვეყნის მშვიდობიანური მდგომარეობის დროს საბჭოთა ხელის უფლებას ამისთვის შესაფერი პირობები და მონდომებაც აქვს.

გაზ. კომუნისტი ეხება რა ამ გარემოებას სწერს:

„ტირიფონის ველი მდებარეობს გორის მაზრაში, შეიცავს რამოდენიმე ათი ათას დესიატინას და მისი მეტი ნაწილი სრულებით გამოუყენებელი იყო მეურნეობისათვის. არა ერთხელ იყო განზრახული ამ ველის განაყოფიერება როგორც მეფის, ისე მენშევიკური მთავრობის დროს, მაგრამ არსებითათ დღემდე არაფერი გაკეთებულა. მაგრამ ბევრი რამ, რაც გაუკეთებელი იყო ძველი მთავრობის დროს, გაკეთებულია მშრომელთა ხელის უფლების დროს და ტირიფონის ველიც აუცილებლად განოყიერებული უნდა იქნას. ამის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება საქართველოსა და მთელი ამიერ კავკასიისა თვისი; საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით ყველა სიხარულით უნდა შეხვდეს“.

ქვევით გაზეთი მიუთითებს მუშაობის ნაყოფიერად წარმოებისათვის საჭირო წესრიგიანობაზე და განაგრძობს:

„ყოფილი მთავრობები ნაკლებათ ზრუნავდენ ქვეყნის ეკონო[illegible]. მშრომელთა ხელის უფლებას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი; ყველაფერი და ყველგან ერთი დაკვრით არ გაკეთდება. ამიტომაც საჭიროა ძალთა და საშვალებათა გათვალისწინება და ამის მიხედვით სამუშაო გეგმის შედგენაო“.

დეპეშები

— რურის ოლქს პასიური წინააღმდეგობის შესუსტება საგრძნობლად ემჩნევა.

— პუანკარე არ ღებულობს ინგლისის არგუმენტებს და ლონდონს უყენებს მთელ რიგ კითხვებისას საკავშიროთა შორისო ვალების შესახებ.

— ბელგიის კომუნისტების პროცესი დათავდა მათი სრული გამართლებით.

— იტალიის პროფკავშირთა ბელადები მთავრობაში თანამშრომლობის პირობათ მოითხოვენ მუსოლინისაგან პროფორგანიზაციებისათვის მოქმედების თავისუფლებას.

— რომში გაიფიცა 20,000 ქვაზე მომუშავენი

— ბულგარეთში ფაშისტური რაზმები ანადგურებენ სოფლებს და მასიურად ატუსაღებენ მუშებს და გლეხებს.

— მეტალისტების და შენობებზე მომუშავეთა გაფიცვა ვარშავაში დამქირავებელთა შეურიგებლობის გამო მეტად გრძელდება.

— ჩიკაგოში აღმოაჩინეს შეთქმულება ამერიკის პრეზიდენტს გარდინგის წინააღმდეგ.

— კიოლნში დაატუსაღეს 20 საიდუმლო ორგანიზაციის წევრები, რომლებსაც აღმოაჩნდათ 250 კილო დინამიტი.

— რიგის გამოფენაზე ყურადღებას იქცევს საბჭოთა რუსეთის პავილიონი.

— ამხ. კალინინის ჩასვლას ჩიტაში ადგილობრივი ხალხი და საბჭოთა ორგანიზაციები დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

— რუსეთში ჩამოსული ვრანგელელებმა განაცხადეს, რომ მათ სცემეს ბულგარეთის მზვერავებმა საბჭოთ. ხელისუფლ. თანაგრძნობისთვის.

საბჭოთა ფედერაციაში

რუსეთ იაპონიის მოლაპარაკება

იაპონიის გაზეთები სთვლიან ამხ. იოფფესა და კავაკამის შორის მოლაპარაკებას დამთავრებულად და მიუთითებენ, რომ შეთანხმება მიღწეულია მხოლოდ მცირე მნიშვნელოვან მუხლებში. გაზეთები გამოსთქვამენ რწმენას ოფიციალურ კონფერენციის გახსნის შესაძლებლობაზე.

ამხ. კალინინი შორეულ აღმოსავლეთში.

ჩიტაში მივიდა ამხანაგი კალინინი, რომელსაც დიდის ზეიმით შეხვდა წარმომადგენლები პარტიული, საბჭოთა, პროფორგანიზაციებისა და ჯარის მეთაურთა. შემდგარ მრავალ რიცხოვან მიტინგზე კალინინმა სთქვა; „წინად ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი იყო კატორღელთა და გადასახლებულთა ადგილი, ეხლა კი — თავისუფალი მუშათა და გლეხთა მხარეა. რამოდენიმე წლების განმავლობაში აქ იჭედებოდა და იბრძმედებოდა საუკეთესო წარმომამადგენლები მუშათა და გლეხთა, რომლებიც დღეს საბჭოთა კავშირს ხელმძღვანელობენ“.

საბჭოთა პავილიონი რიგის გამოფენაზე.

უმთავრეს ყურადღებას ადგილობრივ გამოფენაზე იქცევს საბჭოთა პავილიონი.

ერთ შვეიცარიის ფირმას უნდოდა 2 ვაგონი კალოშების დაკვეთა. წინადადება უარყოფილ იქნა შვეიცარიაზე ბოიკოტის გამო.

საბჭოთა რუსეთში,

ვრანგელელთა მოსვლა.

ნოვოროსიისკში მოვიდა 653 ვრანგელელი. 14 იმათგანმა განაცხადა, რომ იმათ სცემეს ბოლგარეთის მზვერავებმა საბჭოთა ხელისუფლების თანაგრძნობისთვის.

რუსეთ იაპონიის მოლაპარაკება.

ტყვილი გამოდგა ხმები ამხ. კარახანის საბჭოთა წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ ტოკიოში იოფფეს მაგივრად, რომელსაც ვითომც ავამყოფობის გამო არ შეეძლოს აწარმოოს მოლაპარაკება. ამხ. იოფფე დიდის გამოცდილებით აწარმოებს ფრიად ძნელ მოლაპარაკებას იაპონიის სახელმწიფო პირებთან, და ცდილობს მოაგვაროს რუსეთ-იაპონიის დამოკიდებულება.

ამხ. კარახანი დანიშნულია საგანგებო მისიაში ჩინეთში და არა იაპონიაში.

სხვა და სხვა ამბები

გერმანია.

ბრემენიდან იუწყებიან, რომ იქ მოხდა მთელი რიგი დატუსაღება. სურსათის სიძვირის გამო უფრთხიან

ივერიელი

დემონსტრაციებს. ქალაქის განაპირა ადგილებში დიდი ნაკლებობაა კარტოფილის, ხორცის, მწვანილეულისა და რძის საწყობები დაკეტილია.

ᲓᲐᲢᲣᲡᲐᲚᲔᲑᲐ

კელნიდან „ფორვერტს“ აუწყებენ, რომ იქ დატუსაღებულია 20 კაცი, რომლებიც ეკუთვნიან საიდუმლო ორგანიზაციებს. უპოვნიათ 250 კილო დინამიტისა.

ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ.

ჩიკაგოდან იუწყებიან, რომ იქ აღმოაჩინეს შეთქმულება პრეზიდენტ გარდინგის მოკვლის შესახებ მისი ალიასკიდან დაბრუნების დროს. დაატუსაღეს მთელი რიგი ანარხისტებისა.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ „ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲐ“ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

პრეზიდენტ გარდინგმა ბეჭდვითი საქმის კონგრესზე განაცხადა, რომ შეერთებული შტატები უნდა დაემყაროს პირველ ხარისხოვან ფლოტს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

მარტის დეკლარაცია.

„ჰუმანიტეში“ დაბეჭდილ დეკლარაციაში მარტი აცხადებს მის გადაწყვეტილებაზე—ერთთავად მიეცეს პროპაგანდას საყოველთაო ამნისტიისა, რომელსაც მშრომელთა კლასი მიიღებს, თუ „შესძლებს“ მის მოთხოვნას.

ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ.

რუსეთთან დაახლოების მომხრე სენატორი დემონზიე უნდა ინახულოს მოსკოვის გამოფენა. ის ხაზს უსვამს თავისი გამგზავრების სრულიად კერძო ხასიათს.

საფრანგეთის ნავთის სამრეწველოს ორგანო „კურიერი პეტროლი“ მიუთითებს რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენის აუცილებლობაზე, ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისათვის რუსეთის ნავთს.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

თემთა პალატის სხდომაზე კოლონიური უწყების ბიუჯეტის განხილვის დროს, მუშათა ფრაქციამ სასტიკ კრიტიკაში გაატარა მთავრობის გადაწყვეტილება, სადაც უკანასკნელი უარჰყოფდა ინდოელთა უფლებებით ევროპიელებთან გათანასწორებას.

მუშათა პარტიის სახელით ვეჯვუდი მიუთითებდა, რომ ცნობა ამ უარყოფაზე დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს ინდოეთში, და მასთან ურჩევდა ინდუსებს დამორჩილებოდნენ გადაწყვეტილებას, ვინაიდან ამ ჟამად მათ მეტის მიღება არ შეუძლიანთ.

მიტჩელქბანკსმა განაცხადა, რომ ვეჯვუდი ანტი-ბრიტანული გეზით მიდის, დასცინა მის მოთხოვნილებას იდუსთა პოლიტიკურ უფლებების გათანასწორების შესახებ.

ბანკსის ამ განცხადებამ ლამის შეტაკება მოახდინა მასსა და ვეჯვუდს შორის და კინაღამ ჩხუბით გათავდა.

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

უკანასკნელ დღეებში იზრდება ფაშისტების ძალმომრეობა პოლოლი არის პარტიის წინააღმდეგ იმ პოზიციის გამო, რომელიც დაიჭირა უკანასკნელმა ამომრჩევლობითი რეფორმების პროექტზე ხმის მიცემის დროს.

ᲐᲛᲮ. ᲨᲚᲣᲒᲘᲜᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

უკრა[illegible] ჯგუფმა „სამშობლოში დაბრუნების კავშირმა“ სოფიაში ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადა რუსეთის წითელი ჯარის წარმომადგენლობას ბულგარეთში ამხ. შეპელუგინის ვერაგულად მოკვლის გამო, სადაც [illegible]თითა, რომ საზიზღარი საქმეები თეთრგვარდიელთა ვერ დაარღვევს სამშობლოში დაბრუნების მსურველთა რიგებს.

ბოროტება და შური თეთრგვარდიელთა წარმოადგენს მათ სასიკვდილო [illegible]ნიას.

ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲣᲟᲘᲜᲔᲑᲘ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ.

ბულგარეთის იუნკრების მიერ შედგენილ ფაშისტების დრუჟინებმა დასწვეს მთელი რიგი სოფელთა, დაამტვრეს კოოპერატივები და მასიურად ატუსაღებენ მუშებსა და გლეხებს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ.

პლევში დაიწყო 50 კომუნისტების პროცესი, რომელთაც ბრალდებოდათ ცანკოვის მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციის მოწყობა მატრიალების დროს. პროკურორი მოითხოვდა 5 მთავარი ბრალდებულის სიკვდილით დასჯას. ბრალდებულთა დამცველები დატუსაღებულნი არიან.

ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ.

ზემოხსენებულ მომუშავეთა გაფიცვა ვარშავაში დამქირავებელთა შეურიგებელ პოზიციის გამო გახანგრძლივებულს და მწვავე ხასიათს იღებს.

ᲡᲘᲜᲐᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ.

ნორვეტის გაზეთი „ოპზორი“ გადმოგვცემს, რომ უმთავრესი კითხვა სინაის კონფერენციაზე იქნება რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი. გაზეთის აზრით, რუმინიის ძალდატანებით ნაგულისხმევი დასკვნა მოგერიებითი კავშირისა რუსეთის საწინააღმდეგოდ—ერთობ პრობლემატიურია.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ.

პოლონეთის პრესა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ცნობებს გერმანიიდან და მოითხოვს საზღვრების გამაგრებას. ის მიუთითებს აუცილებლობაზე „დანციგის გადარჩენისა, რევოლიუციონერების მხრით მოსალოდნელ საფრთხისაგან.“

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ.

ევროპის გაზეთების ათინელი კორესპოდენტები იუწყებიან საბერძნეთის საომრად მზადების შესახებ.

მზადება გრძელდება, მიუხედავად ლოზანაში მყოფ ბერძენ-დელეგატების მშვიდობიანი განცხადებისა. ეს მზადება ემჩნევა უფრო სალონიკში, სადაც გრძელდება გადმოსხმა ახლად ჩამოსულ ჯარებისა და მოდის დიდძალი საომარი მასალები. ამავე დროს საბერძნეთის დიპლომატია ყოველ ღონეს ხმარობს ბელგრადში და სოფიაში სამხრეთ-სლავიის და ბულგარეთის ნეიტრალიტეტის დასაცავად თუ რომ დაიწყო ომი ოსმალეთთან

ᲞᲣᲐᲜᲙᲐᲠᲔᲡ ᲜᲝᲢᲐ.

გამოირკვა, რომ პუანკარე თავის ნოტაში არ ღებულობს ინგლისის არგუმენტებს და უსვამს ლონდონს მთელ რიგს კითხვებისას საკავშირთაშორის ვალების შესახებ.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲨᲘ.

რომიდან ცნობის მიხედვით, იტალიის პროფკავშირთა ბელადებმა, მუსოლინთან თათბირის შემდეგ განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან ითანამშრომლონ მთავრობასთან, მხოლოთ იმ პირობით, თუ რომ უკანასკნელი მიანიჭებს პროფორგანიზაციებს ერთგვარ მოქმედების თავისუფლებას.

ᲡᲐᲛᲗᲐᲛᲐᲓᲜᲝ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ.

ელნიცისა და ცვიკაუს ოლქებში გაიფიცა 35.000 სამთამადნო მუშები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას, სიძვირის ზრდასთან დაკავშირებით.

ᲥᲕᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲐ.

რომში გაიფიცა 20.000 ქვაზე მომუშავენი. იტალიის პოლიციამ აკრძალა გაფიცულთა შეკრება, ჩამოართვა მოწოდებები და დაატყვევა 300 მუშაზე მეტი. შრომის პალატა შემორტყმულია ჯარის კაცებით. სცემენ გაფიცულებს, და ამტკიცებენ, რომ გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი აქვსო.

ᲠᲣᲠᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲝ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ.

პასიური წინააღმდეგობა.

რურის ოლქში განუწყვეტლივ გრძელდება პასიური წინააღმდეგობის თანდათანობითი შესუსტება. განსაკუთრებით მოიქანცა ბრძოლისაგან მოსახლეობის საშუალო კლასი. უარი ფრანგებისადმი ნახშირისა მიწოდებაზე, თანდათან ბათილდება, რაიც მოსჩანს კრუპის ქარხნების მაგალითებიდან, რომლის ადმინისტრაციამ ნება მისცა ფრანგებს ნახშირის გატანისა, სადაც მიღებული იყო საწინააღმდეგო ზომები მუშათა და საოკუპაციო ჯარების შორის შეტაკება არ მომხდარიყო.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲡ.

(წერილი მეექვსე)

1. ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

აგრეთვე შენ მეკითხები ამხანაგო კომუნისტურ პარტიაზე და მისი ისტორიაზე.

მანამ გეტყოდე მოკლედ კომუნისტური პარტიის ისტორიაზე გეტყვი რა არის ეს კომუნისტური პარტია; ცოტა რამ უთუოდ მაინც გეცოდინება მასზედ, რადგან ამ სახელს ყოველ წამში ყურობ პარტია ერთი აზრისა, ერთი ტაქტიკის და პროგრამის მქონე, ერთ ორგანიზაციაში შეკავშირებული პირებია და სახული მიზნის მისაღწევად. პარტია ბევრნაირია შენ იცი ამხანაგო ბურჟუაზიულ კლასსაც ყავს თავის პარტია და ამ პარტიის აზრებს და მოქმედებას მისდევს ის. მუშათა კლასის პარტია კი სწორეთ ეს კომუნისტური პარტიაა.

ესე იგი მუშათა კლასის მოწინავე რაზმს დაუსახავს ამ მუშათა კლასისათვის კომუნიზმი მიზნად და შეკავშირებულან ერთად, რომელსაც ქვია კომუნისტური პარტია. კომუნიზმი ამხანაგო ნიშნავს ქონების საერთო მფლობელობას. კერძო საკუთრების მოსპობით და ქონების განსაზოგადოებით ესე იგი კომუნიზმში ქონებრივი უფლება გათანასწორებულია.

კომუნიზმის დროს ყველამ უნდა იმუშავოს და სიმდიდრეც მოსახმარებელი საგნები ყველას თანასწორად უნდა ერგოს თანახმად მისი საჭიროებისა და მოთხოვნილებისა.

ასე რომ ამ სწავლის და სამართლიანობის მომთხოვნი საზოგადოებაში ყოფილა კომუნისტური პარტია.

კომუნისტურ მოძღვრების მამამთავარი იყო მარქსი და ენგელსი რომლებმაც მეცნიერულათ დაახასიათეს კომუნისტური საზოგადოების აუცილებლობა კაპიტალიზმის და შემდეგ გამოაქვეყნეს კომუნისტური მანიფესტი 1847 წელს. რის შემდეგ მთელი ქვეყნის მუშათა კლასი იბრძვის ამ კომუნიზმზე და ცდილობს მოიპოვოს ისეთი ხელისუფლება რომელიც ამ კომუნიზმის განხორციელებას ხელს შეუწყობს, აქ ჩვენში და რუსეთში გვაქვს ისეთი ხელისუფლება და გვყავს ისეთი მთავრობა, რომელიც არამც თუ ხელს გვიშლის კომუნიზმის განსახორციელებლად არამედ ხელს გვიწყობს. ეს იმიტომ რომ პოლიტიკური ძალა უფლება მუშების საბჭოების ხელშია როგორც წინათ გითხარი. ახლა საჭიროა სხვა სახელმწიფოებში შეიქმნეს ისეთი მთავრობები და პოლიტიკური ძალა-უფლება დაიპყროს მუშებმა, რომ კომუნიზმის განხორციელებაზე და მის დაარსებაზე ხელი შეუწყოს მშრომელ ხალხს.

2. ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ.

გადავიდეთ კომპარტიის ისტორიაზე. როგორც შენ დაინახე ეს პარტია ახალი არ ყოფილა; რუსეთში მისი არსებობა იწყება მესამოცდაათე წლებიდან.

მაგრამ სახელწოდება მას მაშინ სხვა ქონდა—მას უწოდებდენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. რადგან ამ პარტიის მუშაობა იწყება მესამოცდაათე წლებიდან საჭიროა სწორედ თავიდან დაწყება. სწორედ ამ დროს მუშათა კლასი რუსეთში ძალიან დაქსაქსული იყო და შეუკავშირებელი მათ სტანჯავდა ორი მტერი: ერთის მხრივ კაპიტალისტები და მემამულეები ხოლო მეორე მხრივ თვითმპყრობელური მთავრობა, მუშები კი უძლური იყვნენ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან შეუკავშირებელი და ორგანიზაციულად დარაზმული არ იყვნენ.

1878 წ. სტეფანე ხალტურინმა და ობნორსკიმ პეტროგრადში შექმნეს და მოაწყვეს „ჩრდილოეთ რუსეთის მუშათა კავშირი“, რომელშიც შევიდა ყველა დაქსაქსული მუშათა წრეები პეტროგრადის. ამ კავშირმა პირველად დასვა კითხვა მუშათა კლასისათვის პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის. ეს გასაგებია ამხანაგო, თუ მუშათა კლასს პოლიტიკური ძალა-უფლება არ აქვს ის ისე ვერ გაიმარჯვებს ეკონომიურად. ამის აუცილებლობაში მუშათა კლასი ბრძოლის პროცესში სავსებით დარწმუნდა. როდესაც მუშები ებრძოდენ ფაბრიკა-ქარხნების და მამულების პატრონებს, მაშინ მთავრობა ამ ფაბრიკა ქარხნების და მემამულეების მხარეზე იყო და ბრძოლას ანელებდა, მაშასადამე მუშათა კლასის წინაშე აშკარად დაისვა კითხვა თუ პოლიტიკური ძალა-უფლება არ ექნებოდა ისე ის ვერ გაიმარჯვებდა.

ამ დროს მუშათა მოძრაობას მაინც სტიქიური ხასიათი ჰქონდა და მწყობრი ორგანიზაციული მუშაობა არ არსებობდა.

1883 წ. შვეიცარიაში შესდგა ჯგუფი, რომლის სახელწოდება იყო „შრომის განთავისუფლება“ ამ ჯგუფის დამაარსებელნი იყვნენ გიორგი პლეხანოვი, აქსელროდი და ზასულიჩი.

ჯგუფმა საფუძვლად მიიღო მარქსიზმის მოძღვრება—კლასიური ბრძოლის თეორია და განაცხადა, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება, მუ[illegible] კლასისვე ხელით უნდა მოხდესო.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის დაარსებამდე ე. ი. პირველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციამდე, რუსეთში არსებობდნენ ეგრედ წოდებული ნაროდნიკული პარტიები, რომლებიც სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ რუსეთში სოციალიზმის დამყარებას. მაგალითად ტერორისტული აქტებით—ხელმწიფის და გუბერნატორების მოკვლით, შეთქმულებით და ათასგვარიზომებით, რომელიც უთუოდ შეცდომა იყო, ერთისა და ორის მოკვლით რევოლიუცია არ შეიძლება.

რევოლიუცია, ეს ფართე მასსის შეგნებული მოძრაობაა.

პარიზის კონგრესზე 1889 წელს პლეხანოვმა იწინასწარმეტყველა, რომ რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა გაიმარჯვებს როგორც მუშათა მოძრაობაო, ან ის სულ ვერ გაიმარჯვებსო, რომელიც ასეც ასრულდა.

ეს „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი მამამთავარია რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის და სოც.-დემოკრატიული პარტიისა.

მეოთხმოცე წლებში, რუსეთში ადგილი ჰქონდა წარმოების შეჩერებას, აგრარულ კრიზისს და პოლიტიკურ რეაქციას სოციალ-დემოკრატიული პარტია კიდევ სუსტათ ვითარდებოდა, მოძრაობა მაინც სტიქიური იყო ჯერ, ჯერ ორგანიზაციებს კიდევ არ ჰქონდა დაპყრობილი მასსების ფართე წრეები.

მეოთხმოცდაათე წლებში იწყება ენერგიული მუშაობა მუშათა წრეების შესადგენათ.

სამრეწველო ქალაქებში ამ დროს მარქსისტული აზროვნება უკვე მოღონიერდა.

ნაროდნიკულ პარტიას (ამ პარტიის მემკვიდრენი დღევანდელი სოციალისტ-რევოლიუციონერებია, რომლებმაც ნაწილობრივ შესცვალეს თავისი ტაქტიკა და პროგრამა.) უკვე თეორეტიულათ ებრძვიან, როგორც უვარგისს მუშათა მასსიური მოძრაობისათვის და რევოლიუციისათვის.

მარქსიზმი კიდევ უფრო ძლიერდება.

წარმოების კრიზისის და შიმშილობის შემდეგ იწყება ეკონომიური განვითარების პერიოდი. იზრდება ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი და მასსიური გაფიცვები პეტროგრადში, მოსკოვში ივანოვო ვაზნესენკში და სხვაგან 1895 წ. გაფიცულების რიცხვი 450 ათას უდრის.

ამ მდგომარეობამ ამხანაგო, საშვალება მისცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გაეფართოვებია თავის მუშაობა.

ამ დროს სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია უკვე ძალას წარმოადგენდა და მრავალ ქალაქებში არსებობდნენ მჭიდრო ორგანიზაციები.

1898 წ. ქ. მინსკში პირველი პარტიული ყრილობა შესდგა.

ამ ყრილობაზე წარმომადგენლები იყვნენ: პეტროგრადიდან, მოსკოვიდან, კიევიდან, ეკატერინოდარიდან და სხვებიდან.

ამ ყრილობამ გამოსცა მანიფესტი რუს. სოც.-დემ. მ. პარტიის, გამომუშავდა ორგანიზაციული წესდება, და არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტი.

ასე, რომ ეს იყო პირველი ყრილობა ამხანაგო და პირველი საფუძველი სოც.-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისა.

თენგიზ.

(გაგრძელება იქნება)

ჩვენს წითელ ჯარში

ცალ. საჰაუბიცო ბატარეის მანევრებიდან.

(საბანაკო ცხოვრება).

საჰაუბიცო ბატარეია მანევრებისთვის ემზადება... წ. არმიელების ჩოჩქოლია, არა ჩვეულებრივი ამბავი. მათთვის ეს პირველი შემთხვევაა...

ჯერ კიდევ პირველად არის რომ ჩვენი წ. არმიელები სროლაზე მიდიან.

ყველას აინტერესებს თავის თავის გამოცდა.

„ხვალ სროლაზე წავალთ?

ეკითხება წ. არმიელი უფროსს.

„ჰო წავალთ“ ამ სიტყვის გაგონებაზე წ. არმიელს სახე უბრწყინავს.

მეორე დილას წ. არმიელები უკვე ფეხზე იყვნენ.

„აქეთ მოიყვა ეგ ცხენი, აქეთ,“ უყვირის ერთი,

„ეჰ უფრო მაგრა მოუჭირე უნაგირს, უზანგები დაამოკლე“

ამბობს მეორე.

„ცხენები მზად არის“, გაისმა ხმა უფროსისა.

„შეაბით“.

ბრძანებს ბატარეის უფროსი.

შეაბეს და დაიძრენ ადგილიდან.

გზაში საერთო მყუდროებაა, მხოლოდ ერთმანეთს გადახედავენ წ. არმიელები და თითის ნიშნით აგებიებენ თავის ამბავს.

წინ ნავარდით გაიგზავნა წ. არმიელები. უფროსის თანხლებით დასაზვერავად. მონახეს პოზიცია. დააყენეს ბატარეია. ამოირჩიეს თვალძადევნი პუნქტი. გააბეს სატელეფონო ხაზი.

ჩუ.. უცბად ტელეფონისტი გადმოგვცემს: „საომრად“ შრაპნელით..

ქვეითა ჯარს...

„კუთხსაზომი 18-30..

მუხტი № 1...

თარაზო 1910...

სამიზნო 100 მილ.. 18-5...

წითელ არმიელები ყოველივე ამას იმეორებენ ათრთოლებით. მათ არ უნახავთ ეს სროლა. ზოგს ეშინია, ზოგს უხარია... ამ დროს გაისმა ხმა:

„ცეცხლი“!

და ზარბაზნებმა რიგრიგობით დასცეს შემზარავი ხმა..

ჰუუუუუ...

იძახის 1 ნახ. ფუთიანი ყუმბარა, თითქოს ამბობს მტერს თავს-ზარს დავცემო.

„იჰ. ვერანი რა ხმა ქონია ააჰ“

„ამბობს წ. არმიელი და თან ყურებში ხელს იდებს,

„კინაღამ ყური არ გამიფუჭა“

„აბა რა გეგონა“ ეუბნება მეორე.

მუშაობა მიდიოდა რიგიანად. ყველა ცდილობდა და მიუხედავათ იმისა, რომ ჯარში არიან სულ 3 თვე ჩვენდა მოულოდნელად საუკეთესოდ ჩაატარეს სროლა და ჩვენი უფროსი ამხანაგები განცვიფრებაში მოიყვანეს. აი ასე აქვს შეგნებული ჩვენს წ. არმიას თავისი მოვალეობა და თუ საჭირო იქნება, როგორც ერთი ისე დასდებენ თავს საერთო კეთილდღეობისათვის.

სპარტაკელი

სალამი მე-3 მსროლელ ლეგიონს

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 328 ა. წ. 22-ივლისიდან ვკითხულობთ მესამე ლეგიონის ორი წლის არსებობის იუბილეს შესახებ. ვკითხულობ ამ სტრიქონებს სადაც მოკლეთ მკაფიოთ არის აწერილი მისი ორ წლის არსებობის ხანა, გულის ფანცქალით და აღტაცებით ის რამოდენიმეჯერ ვკითხულობ დაეც როგორც ერთ დროს მის წევრს კმაყოფილებით გაბრუებულს შემიძლია არ მიუძღვნა გულითი სალამი და არ მიულოცო ყველა იმ მომუშავებს რომლებმაც ასე ღირსეულად და პატიოსნად შეასრულა თავისი მოვალეობა. აგრეთვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის დაუღალავი და ენერგიული მუშაობა შტაბის უფროსს ამხ. ემ. კალანდაძის რომელსაც ის ეწეოდა ლეგიონის ჩამოყალიბებისათვის ლეგიონის საერთო გაჭირვებულ მდგომარეობის დროს. უსურვებ ლეგიონარებს და განსაკუთრებით კი ამხ. ემ. კალანდაძეს თავის ენერგია, როგორც დღემდის ისე შემდეგშიაც გაორკეცებულად მოეხმარე ბიოს ნორჩ წითელ ჯარის აყვავებაში და განვითარებაში. გაუმარჯოს ღირსშესანიშნავ და მებრძოლ მე-3-ე მსროლელ ლეგიონს და მის წითელ შემადგენლობას.

ქართულ ცხენოსან ლეგიონის ხით. მეთაური **ბუკია**

პარტიული ცხოვრება

ცალკე მესანგრე ასეულში

ა. წ. 17 ივნისს მოხდა ცალკე მესანგრე ასეულის კომუნჯრედის ღია კრება. კრება გაიხსნა დიდი ხის ძირას მწვანე მინდორში. კრებას დაესწრო ყველა კომუჯრედის წევრები და უპარტიო წითელ არმიელებიც. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

1) მოხსენება პოლიტ ხელ მძღვანელის ამხ. ჭელიძის თავის მუშაობის შესახებ ივნისის თვეში.

2) მოხსენება სამკითხველოს გამგის თავის მუშაობის შესახებ ივნისის თვეში.

3) მოხსენება პასუხის მგებელი მდივნის ამხ. ხომერიკის. თავის მუშაობაზე ივნისის თვეში.

ამხ. ჭელიძემ აღნიშნა თუ რა გააკეთა მან ივნისის თვეში და როგორ მეცადინეობას აწარმოებდა წითელ არმიელებთან. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები და კამათი. კამათის შემდეგ კრებამ მოხსენება სცნო დასაკმაყოფილებლად. მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა სამკითხველოს გამგემ. მომხსენებელმა გააცნო კრებას თავისი ნამუშევარი ივნისის თვეში, აგრეთვე აღნიშნა, როგორ პირობებში იმყოფება სამკითხველო, მოხსენება კრებამ სცნო დასაკმაყოფილებლად.

დასასრულ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხომერიკი, რომელმაც გააშუქა მთელი თვის მუშაობა კომუჯრედისა.

კრებამ მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

მეწითელი.

საერთო კრება.

ა. წ. 13 ივლის შესდგა ცალკე საკავშირო ასეულის წითელ არმიელთა და უფშემადგენლობის საერთო კრება. კრებას დაესწრო უმრავლესობა ნაწილის წითელ არმიელების, თავმჯდომარეთ იქნა ამორჩეული ასისთავი მიქელაძე და მდივნათ ამხ. მაჩიტაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

1) მოხსენება კოოპერაციაზე.
2) მოხსენება ბანაკად გასვლაზე.
3) მოხსენება „რკის“ მუშებზე.
4) გადარჩევა „რკის“ წევრების.
5) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. შარაშენიძემ, რომელმაც გააცნო კრებას თუ რა მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას მშრომელი ხალხისათვის.

ბანაკად მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამხკომმა ამხ. მაჩიტაძემ, რომელმაც ნათლად დაასურათა თუ რა მუშაობა უნდა ვაწარმოვოთ ბანაკში ადგილობრივ გლეხობასთან.

მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა დამხმარე ჯგუფის თავმჯდომარემ რომელმაც გააცნო კრებას, თუ რა პირობებში უხდებოდა მუშაობა დამხმარე ჯგუფს.

კრებამ ჩასთვალა მისი მუშაობა დამაკმაყოფილებლათ.

მეოთხე საკითხზე სანამ არჩევნებს შეუდგებოდით მოკლეთ გააცნო კრებას დამხმარე ჯგუფის მნიშვნელობა და მისი მოვალეობა ცენტრალური ინსპექციის წარმომადგენელმა ამხ. ჟუჟუნაშვილმა, რის შემდეგ იქნენ არჩეული დამხმარე ჯგუფში წითელ არმიელები 1) გედევანიშვილი 2) ხვთისაშვილი 3) ქმუტაშვილი: კანდიდატებათ 1) რალათაშვილი 2) მაჭარაშვილი 3) ჭანტურია. მიმდინარე კითხვებში იყო მრავალი შეკითხვები რაზედაც იქნა გაცემული სათანადო პასუხი.

კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

სვირელი.

რაზედ გვწერენ

ჩვენს ლეგიონში:

ქარ. ცხენ. ლეგიონს აქვს საკუთარი საპირფარეშო, სადაც წითელ არმიელნი იპარსავენ პირს. მიუხედავათ იმისა რომ, რამდენჯერმე იყო მოწყობილი სანიტარული საათები ნაწილში, ჩვენს საპირფარეშო მაინც უსუფთაობის კერას წარმოადგენს, რაც შემიძლიან დავამტკიცო შემდეგი მაგალითებით: ავიღოთ თუნდა წ. არ. პირის მოპარსვის დროს ერთხელ გაკეთებული საპონი, რომელითაც რამოდენიმე წ. არმიელს პარსავენ პირს. ეს დაუშვებელია, რადგან შესაძლებელია ასეთ მივლენის დროს ბაცილების საშუალებით ერთის ავადმყოფობა გადავიდეს მეორეზე. ეს ეხლაც მტკიცდება იმით, რომ წ. არ. პირზე მუწუკები აყრიათ. ვიმედოვნებ ამ გარემოებას მიექცევა ჯეროვანი ყურადღება.

ვარდიკ.

სამხედრო საქმე

სამხედრო კავშირი.

ბრძოლაში ჯარი წარმოადგენს მეტად რთულ მანქანას, რომლის ყოველი ნაწილი უნდა მჭიდროთ იყოს დაკავშირებული ერთი ერთმანეთთან, როგორც მანქანაში ყოველი ბორბალი, ყოველი ღერძი და ჭინჭილაქი თავის განსაკუთრებულ მოვალეობას ასრულებს და მემანქანის ესა თუ ის მოძრაობა მანქანის ერთ მიზანშეწონილ, თავის დროის მოქმედებას იწვევს, ისე სამხედრო საქმეში ჯარის სარდალი წარმოადგენს იმ მემანქანეს, რომელსაც დახაზული აქვს განსაკუთრებული მიზნის განხორციელება. ჯარის ნაწილები სარდლობის ხელში უნდა წარმოადგენდეს იმ მანქანას, რომელიც განსაზღვრულ დროს ასრულებდეს განსაზღვრულ დანიშნულებას.

ყველა ამისათვის კი საჭიროა, რომ სარდლობა მჭიდროთ იყოს შეკავშირებული ჯართან და ეს კავშირი ბრძოლის დროს განუწყვეტელი უნდა იყოს. ბრძოლის ვითარებაში კავშირი ძალიან ადვილად იშლება: საკმაოა ჯარის ცოტაოდენი წინ წაწევა, რომ მოგვარებული დაირღვეს.

წარსულში ჩვენ მრავალი მაგალითი ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მთავარ სარდლის ბრძანების თავის დროზედ გადაცემას. გავიხსენოთ თუნდა ნაპოლეონის საბედისწერო დამარცხება თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავშირის სათანადო მოწყობას. ნაპოლეონმა ბრძოლის გადამწყვეტ ხანაში გაგზავნა თავისი ადიუტანტი თავის ერთ ერთ სარდალთან ბრძანებით, რათა მას ბრძოლის მიმართულება შეეცვალა და მტრის სუსტ ალაგას მიეტანა იერიში, რაც დიდ არევ დარევას გამოიწვევდა მოწინააღმდეგის არმიაში და მის სრული განადგურებით გათავდებოდა ბრძოლა. გზაში ადიუტანტს ყუმბარა მოხვდა, ფეხში მძიმედ დაიჭრა და მან ვერ შესძლო ამ ბრძანების გადაცემა, რასაც მოჰყვა ნაპოლეონის გეგმის დარღვევა და მისი სრული დამარცხება. ადიუტანტის უცაბედმა დაჭრამ გამოიწვია საფრანგეთის ჯარის ძლევამოსილობის განადგურება და ვინ იცის ეს რომ არ მომხდარიყო კიდევ რა სიურპრიზებს შესთავაზებდა ნაპოლეონი კაცობრიობას.

ამ გვარ მოვლენას სამხედრო მეცნიერებაში მიაწერენ „მათ უდიდებულესობას შემთხვევას.“

თანამედროვე სამხედრო მეცნიერებისა და ტეხნიკის ვითარება მიმართულია იმისკენ, რომ ბრძოლის ესა თუ ის გამოსავალი არ იყოს დამოკიდებული „მათ უდიდებულესობის—შემთხვევისაგან.“ თანამედროვე სამხედრო მეცნიერება ისეთ გზაზედ ადგია, რომ ომიანობის ყოველი პროცესსი მიზანშეწონილია და მათემატიკური ჭეშმარიტებით ნავარაუდევია, ყველაფერია აწონილ-დაწონილი. და ის სახელმწიფო, რომელსაც სარდლობა სათანადოთ გაწვრთნილი და მომზადებული ჰყავს, წარსულ ომების შეცდომანი და გამოცდილება შეთვისებული აქვთ და ამას გარდა თვით სახელმწიფოს ბრძოლის საშუალება-სახსარი შესწევს, იგი მუდამ გამარჯვებული გამოვა.

ყოფილი წითელ არმიელის მუშაობა სოფლად.

უკვე ხშირი ბინდი იყო, როდესაც მიუახლოვედი სოფ. რ...ს დაღლილ გლეხს უნდა სძინებოდა ტკბილი ძილით, მაგრამ იმ მხრიდან, სადაც მოთავსებულია სოფლის სკოლა, მოისმოდა ხალხის ჟრიამული და ზურნის ხმა.

„ალბათ სკოლაში წარმოდგენაა“ გავიფიქრე და გავწიე იქით. ჩემი მოლოდინი გამართლდა. სოფლის ახალგაზრდობა მართავდა წარმოდგენასა, ხალხი ბლომათ იყო, მოზრდილები დინჯათ ბაასობდნენ თავიანთ ცხოვრებაზე, მოსავალზე, ახალგაზრდობას კი გაეჩაღებინა ცეკვა თამაში. გაისმა ზარი, ყველამ დაიკავა ადგილები, ჩამოვარდა სიჩუმე. იხდება ფარდა. სცენაზე გამოდის ახალგაზრდა სოფლელი და აცხადებს, რომ ექიმი გ-ლი წაიკითხავს ლექციას ციებაზე. გამიკვირდა. ამ სოფელში ხშირად მიხდებოდა სიარული და ვიცოდი, რომ ექიმი არ იყო იქ და თუ ვისმეს დასჭირდებოდა ექიმეი უნდა მოეყვანა დაბა ქარელიდან, რომელიც დაშორებულია 12 ვერსით. ლექცია წაკითხულ იქმნა მდაბიო, ყველასათვის გასაგებ ენით, ექიმს თან წამოეღო სხვა და სხვა სურათები და პლაკატები, რომლებიც უადვილებდნენ ხალხს ლექციის გაგებას.

ლექციის შემდეგ დაიდგა შარჟი ს. ერთ-სა „სულის მამა“, ამან უფრო გამაკვირვა, ვფიქრობდი, როგორ გაჩნდა ამ მიყრუებულ სოფლებში ეს ჩემთვის კარგათ ნაცნობი პიესაა ვინ მოიტანა აქ.

გათავდა წარმოდგენა. ნასიამოვნები გლეხობა გაეშურა სახლებისკენ.

მე გავწიე „კულისებისაკენ“. „გამარჯობა ამხანაგო“ სიხარულით მომეგება ერთი ახალგაზრდა. დავაკვირდი —ვიცანი. ყოფილი წითელარმიელი № ლეგიონისა და წევრი ცენტრალურ კლუბის დრამატიული წრისა.

ბევრი საგულისხმიერო რამე მიამბო მან სოფლის ცხოვრებიდან „ბევრი რამე გვაკლია, მიწა ცოტა გვაქს, თუმც ჩამორთმეული მიწები გავინაწილეთ, მაგრამ კარგათა ვგრძნობთ თავს,გვეხმარება მთავრობა სათესლე პურით, სიმინდით, იარაღით. სკოლაც გაგვიხსნეს. მე დიდი მადლობელი ვარ წითელი არმიის, იქ ბევრი რამე შევიძინე, ბევრ ახალსა გავეცანი, გავაჩაღე კულტურული მუშაობა, რომ მოვედი წითელ-არმიიდან, თან წამოვიღე ბევრი პიესები, ჟურნალ-გაზეთები, შევაგროვე ბიჭები და თვეში ერთხელ, ორჯერ ვმართავთ წარმოდგენებს, აი როგორც დღეს მივდივარ ქარელში და ვაი-ვაგლახით მომყავს ხან ექიმი, ხან აგრონომი, რომლებიც გვიკითხამენ ლექციებს, ხალხში დიდი სურვილია სწავლისა. მე ერთგვარი პოლიტიკური წრე მოვაწყე აქა., როგორიც ლეგიონში გქვონდა, ეხლა თითქმის 30 წევრი მყავს. მასწავლებელიც ვარ სკოლაში.

აი ეს, სცენაც ჩემი მოწყობილია, კედლები ვერ გავაკეთე და თქვენ კლუბში რომ ფარდებია, იმ ყაიდაზე მოვაწყე.“ კიდევ ბევრ რამეზე მქონდა საუბარი. შუაღამე გადასული იყო, როცა გამოვეთხოვე და გავწიე სახლისაკენ, აი წითელ არმიელი, რომელმაც გონივრულათ გამოიყენა ყოფნა წითელ ლაშქარში, შეიძინა ცოდნა და ამ ცოდნას ის ანდომებს მშრომელ ხალხს.

სოფელიც მადლიერია მისი და ამაყობს, რომ თვისა წიაღში მან გამოზარდა სასიქადულო მოქალაქე-მშრომელი.

ე. ხ—ლი.

წარსულში კავშირის საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ, მხოლოდ გამოცდილებამ და ტეხნიკის თანდათანობით განვითარებამ სამხედრო ხელოვნებას ამ საქმის მოგვარება წარმოუყენა.

რუსეთ-იაპონიის ომამდე კავშირის სამსახურს არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდენ და მხოლოდ იალუს და მუკდანის მძიმე გაკვეთილებმა ნათლად დაანახვა ყველას თუ რა მძიმე შედეგები შეუძლია გამოიწვიოს მის მოუწყობლობას.

გ. ბ.

მეორე ოლიმპიადის შედეგები.

თუ შევადარებთ შარშანდელ ოლიმპიადს წრევანდელთან ძნელი იქნება თქმა საერთოდ თუ რომელი სჯობია, რომელი უფრო კარგათ იყო მოწყობილი და სხვა. წრევანდელ ოლიმპიადას მაინც აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი დიდებითი მხარე: ეს არის შეჯიბრების შედეგები, მიღწევანი. შედარებაც კი არაა შარშანდელთან იმდენათ აიწია ზეხწევებმა (რეკორდებმა). ამ მხრივ ოლიმპიადა მეტად სანიაზო იყო, რასაც ხელი შეუწყო ძველ გამოცდილ მძლეოსნების მონაწილეობამ, რომელთაც ბევრი რამ ახალი შეასწავლეს ახალგაზდა ჯომარდებს.

ოლიმპიადა ჯომარდული თითქმის დამთავრდა და დაიწყო სამხედრო შეჯიბრებანი, ისე რომ ჩვენ შეგვიძლიან აქ მოვიყვანოთ ოლიმპიადის შედეგები:

(ჩამოვთლით იმავ წესით როგორც შეჯიბრი სწარმოებდა).

ბირთვის კვრა.

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ I დივიზიამ
3. „ კასპ. მეზღვაურებმა
4. „ ქართულ დივიზაამ

შუბის ტყორცნა.

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ 1 დივიზიამ
3. „ ქართულ დივიზიამ

ბადროს ტყორცნა.

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ ქართულ დივიზიამ
3. „ 3 დივიზია.

ბადროს ტყორცნის ზეხწევი ეკუთვნის ტიურიუკინს (სამხ. სასწ.)—34 მეტრი 24 სანტ.

ამანათრბენი (ესტაფეტა)
3×1000 მეტრ.

1. ადგილი—სამხ, სასწ.
2. „ სომხურ დივ.
3. „ 3 დივიზია.

10×100 მეტრზე.

1. ადგილ—სამხ. სასწ.
2, „ ქართ. დივიზია
3. „ 1 დივიზია

საუკეთესო დრო აჩვენა სამხ. სასწ.
2 წუთი 6 წამი.

რბენა 100 მეტრზე.

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ ქართ. დივიზია
3. „ 3 დივიზია

100 მეტრის ზეხწევი ეკუთვნის ნებიერიძეს, რომელმაც გამოირბინა 12,2 წამში.

800 **მეტრზე.**

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ 3 დივიზია
3. „ 1 დივიზია

ზეხწევი აჩვენა ნემოვნა (მეზღვაური) 2 წუთი 34 წამი.

100 **მეტრი**

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ 3 დივიზია
3. „ სომხ. დივიზ.

პირველი მოვიდა აზიკოვი (სამხ. სასწ.

ხტომა სიგრძეზე ადგილიდამ

1. ადგილი—ქართულ დივიზია
2. „ ძირითადი პოლკი
3. „ სამხ. სასწ.

ზეხწევი 2 მეტრი 89 სანტ. აიღო ბიაზიმ. ძირ. პოლკი, მეორე იყო მიქაბერიძე, მესამე ნებიერიძე.

ხტომა ადგილიდამ სიმაღლეზე

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ ქართ. დივიზია
3. „ 1 დივიზია

ზეხწევია 135. სანტიმეტრი, დიაჩკოვი.

ხტომა სიმაღლეზე გამორბენით.

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ ძირითადი პოლკი
3. „ 1 დივიზია
4. „ ქართ. დივიზია.

ზეხწევი დააყენა ბიაზიმ (ძირ. პოლკი) 161 სანტიმეტრი.

ხტომა სიგრძეზე გამორბენით.

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ ქართ. დივიზია
3. „ 1 დივიზია

ზეხწევი ეკუთვნის ვ. დიაჩკოვს 5 მ. 75 სანტ.

სამხტომი

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ ქართ. დივიზია
3. „ 1 დივიზია

ზეხწევი დააყენა ნებიერიძემ (ქართ. დივიზ.) რომელიც გახტა 12 მეტრ. 45 სანტ-ზე.

ჭოკით ხტომა.

1. ადგილი—სამხ. სასწ.
2. „ 1 დივიზია
3. „ ქართ. დივიზია.

ზეხწევი—ვ. დიაჩკოვ 2 მეტრი 90 სან. ამას გარდა დასრულდა **ხუთჭიდი** იარაღებზე ლერძი, ორძელი, რგოლები, ტაკი და ტაიჭი სიგძეზე ხტომა).

1. ადგილი დაიკავა—სამხ. სასწ.
2. „ „ ქართ. დივიზიამ
3. „ „ 1 დივიზიამ

პირადი პირველობა აიღეს 1. შულცმა (სამხ. სასწ.) 2 ვერულიშვილმა სამხ. სასწ. და მიქაბერიძემ (ქართ. დივ.)

ფარიკაობა.

1. ადგილი—1 დივიზიამ
2. „ ქართ. დივიზიამ.

პირადათ 1 ადგილი ისიანმა, მეორე მაჩაბელმა.

კრივი ჯერ არ დათავებულა პირველ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ჭინჭარაძემ (ქართ. დივიზ. ფეხ ბურთიც ჯერ არ დათავებულა დარჩა კიდევ ოთხი გუნდი რომელთ შორის გაითამაშება პირველობა: სამხ. სასწ., აზერბ. დივიზია, მეზღვაურები და ქართ. დივიზ.

გიტო.

ბიბლიოგრაფია.

რედაქციამ მიიღო უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლის კედლის გაზეთები (№ 4, 5, 8, 13 და 14.) „წითელი წკიპურტი.“ სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ჩვენს ჯარში კულტურული მუშაობა.

№ 4. ძალიან აჭრელებულია არშიით. ქაღალდი არ ვარგა. სურათები ზედაა მიკრული. რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს თუმცა სურათები ვერ მიიზიდავს მკითხველს. კარგია სურათი თავში. (წითელ არმიელი და ძველი გენერალი.) საერთოდ ფერადი სურათები რომ არა—არ ივარგებდა, ორი ლექსის გარდა სამ წერილს უჭირავს გაზეთი რასაც უნდა ვერიდოთ. № 5 იგივე ითქმის, რაც მე-4ზე: მხოლოდ უფრო უშინაარსოა, განიერი სვეტებია. და სათაურის გარდა სურათები სალებავებს მოკლებულია. ხუთი წერილია მარტო.

№ 8. საპირველმაისოა. სათაური სურათი კარგია. მუშა და წითელ არმიელი მდგარნი მსოფლიოს გულზე წითელ დროშის ქვეშ. სვეტები კვლავ ფართეა. წერილები გძელები და ერთი კვლავ მიკრული სურათი უფერებოდ.

№ 13. ესეც დანარჩენ ნომრებსა ჰგავს. მარტო სურათები ამშვენებენ.

№ 14. გაგრძელებაა დანარჩენების. თუ სურათები არა—შთაბეჭდილება დაიკარგებოდა. გაურკვეველი ხელითაა ნაწერი და კვლავ გძელი ლექსები და წერილები. ყველა გაზეთებში ორი-სამი ავტორი სჩანს (ერთი და იგივე.) არა სჩანს წითელ არმიელების ჩაბმა შიგ. სასურველი კი იქნებოდა. ჩვენ გაზეთში მოთავსებულ წერილებს (კედლის გაზეთებზე) რომ მიაქცევდენ ხელმძღვანელნი ყურადღებას და ისე დააყენებდენ გამოცემას—უფრო მოიგებდენ.

ქაღალდი უნდა იყოს სუფთა, სურათები ზედვე დახატული და გარკვეული ხელით (უფრო ბეჭდურით) ნაწერი; წერილები და ლექსები უნდა იყოს მოკლე, გასაგები ენით და უფრო ნაწილის ცხოვრებიდან.

სარედაქციო კოლეგია უნდა სცდილობდეს მასალების დამუშავებას. სვეტები უფრო ვიწრო იყოს, სურათები რიგზე და ყველას ეწეროს, სასურველია ლექსად რომ იყოს.

ისე საერთო შთაბეჭდილება მაინც კარგია და ეტყობა ხელმძღვანელთა მუშაობა. ვუსურვებთ წინსვლას და უფრო გამშვენიერებას.

სანი.

მეცნიერება და ტეხნიკა

როგორ ისწავლეს ადამიანებმა წიგნის კითხვა.

ანბანის შესწავლა ძალიან ადვილი საქმეა, მაგრამ მისი გამოგონება კი არც ისე ადვილი ყოფილა. ადამიანები მრავალი საუკუნოების სიგრძეზე ახდენდენ ცდებს და გამოსცადეს ყოველგვარი საშვალებები, რათა თავისი სიტყვა, აზრი აღენიშნათ როგორმე, სანამ მიაღწევდენ საწერ ნიშნების, ასოების გამოგონებას.

გადავსწვდეთ წარსულ საუკუნოებს და გავიგოთ თუ როგორ მიაღწია კაცობრიობამ ასოების გამოგონებამდე.

საგნობითი წერილი.

წარსულ დროების და სხვა და სხვა მოვლენების შესახებ მოგონებანი, დროს განმავლობაში ბურუსით იმოსება და დავიწყებას ეძლევიან ადამიანების მეხსიერებაში.

ყოველდღიურ დღეზე ზრუნვა და გაწამაწია ადამიანს სრულიად ავიწყებს წარსულში მომხდარ მოვლენათა სახეებს.

აი ამიტომ, რომ ადამიანებს არ დავიწყებოდათ ღირს შესანიშნავი მოვლენები წარსულში, დაიწყეს მათზე წარმოდგენების, გარემორტყმულ ბუნებაში არსებულ საგნებთან დაკავშირება, რომლებიც ადვილად მოაგონებდენ ხოლმე „წარსულ დროების საქმეთა შესახებ“.

ასე მაგალითად, ოსები თავის სამლოცველო ტაძრებში განსაზღვრულ რიგზე ალაგებდენ, ცხოველთა თავის ქალებს, რქებს, იარაღებს და სხვა.

ამ საგნებით ისინი აღნიშნავდენ ღირს შესანიშნავ მოვლენებს.

საგნობითი წერილი წარმოადგენ და აგრეთვე ურთიერთ შორის კავშირის და დამოკიდებულების დაჭერის საშვალებას.

ტუნგუსები ტაიგაში (ციმბირის ტყეა) განსაზღვრულ რიგზე ათავსებდენ ხეებზე თავის ისრებს. ეს ნიშნები აღნიშნავდა იმას თუ ვინ რომელი მიმართულებით წავიდა ამ უდაბურ ტყეში.

როდესაც ინდოელები თავის მოწინაამდეგეს გაუგზავნიდენ წითელი ფერით შეღებილ ისარს ან ნაჯახს ეს ნიშნავდა მის წინაამდეგ ბრძოლის დაწყებას.

ზოგიერთ ხალხებში საგნობითი გაუმჯობესებული წერილები, ასრულებდა ჩვენი დროის წერილობითი დადებულ ხელშეკრულების დანიშნულებას. მაგალ. ჩრდილოეთ-ამერიკის ინდოელები ურთიერთშორის ხელშეკრულების დადების დროს ხმარობდენ განსაკუთრებულ ზორტებიან სარტყელებს, რომლებზედაც ასხმული იყო ლოკოკინების ნაჭუჭები.

ისინი განირჩეოდენ სიდიდით და ნაჭუჭების ფერით, და აგრეთვე სხვა და სხვა ფერის ზორტების შეხამებით.

დელეგატები სიტყვების წარმოთქმის დროს სცდილობდენ მსმენელთა ყურადღება მიექცათ ნაჭუჭების შეხამებაზე, რომლებიც იმყოფებოდა კავშირში მათი სიტყვის შინაარსთან სიტყვები და ნაჭუჭები ერთ მთელში იყო შეერთებული მსმენელებისათვის.

იმ შემთხვევაში თუ დელეგატები მიაღწევდენ შეთანხმებას, ისინი სტოვებდნენ მოწინაამდეგესთან თავის სარტყელს, როგორც ხელშეკრულების დოკუმენტს, ხოლო მოწინაამდეგეთა ხელმძღვანელი დრო გამოშვებით აჩვენებდა თავისი გვარის ახალ გაზრდებს ასეთ დოკუმენტებს და ავალებდა მათ ასე დაემახსოვრებიათ მათი მნიშვნელობა.

საგნობითი წერილს ჩვენც ვხმარობდით ზოგიერთ შემთხვევაში. ძეგლები ჩვენი დროის ეს ერთი სახეა საგნობითი წერილს.

მეორე სახე საგნობითი წერილისა მეტად გავრცელებულია და უდიდესი მნიშვნელობაც აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ეს არის ყოველგვარი სიგნალები: ბაირაღები, ცეცხლები და და სხვა, გემებზე, რკინის გზებზე და ნავთ სადგურებში.

ნასკვითი წერილი. ხშირად არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი შემთხვევები როდესაც მეხსიერება ღალატობს და გინდა არ დაგავიწყდეს რაიმე მოვლენის შესახებ, ცხვირ სახოცს გამოუსკვნი ყურს, რათა მისი დახედვით გაგახსენდეს ესა თუ ის მოვლენა. ეს გამოგონება მეტად ძველია და ბევრ ხალხებ შორის ძლიერ გავრცელებული,

ძველი პერუანელები (ხალხი რომელიც სცხოვრობს პერუში—სამხრეთ ამერიკაში) ხმარობდენ ნასკვითი წერილს, რისთვისაც იხმარდენ სხვა და სხვა ფერ ზორტებს, რომლებზედაც აკეთებდენ ნასკვებს. ნასკვის ფორმასა და ფერს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ნასკვითი წერილების საშვალებით პერუანელები აწარმოებდენ ანგარიშს, მნიშვნელოვან მოვლენების აღნიშვნას, სახელმწიფოში ბრძანებების გადაცემას და მრავალი სხვა.

მათი ნასკვითი წერილები ისეთი რთული გამოდგა, რომ მეცნიერების ყოველგვარი ცდა მისი წაკითხვისაკენ მიმართული სრული დამარცხებით დათავდა.

ჩინელებიც ხმარობდენ ასეთ წერილებს და მეტად ფართოდაც იყო ის გავრცელებული მათში.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა. № 103

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტიკური განყოფილებისა

23 ივლისი 1923 წ. ქ. ტფილისი.

ქართულ დივიზიის ყველა ნაწილების კომისრებს, სამხედრო კომისრების თანაშემწეებს, ნაწილების პასუხის მგებელ ორგანიზატორებს.

უსახსრობის გამო იძულებული გავხდით დროებით გაზ. „წითელ არმიელი“-ს გამოცემა შეგვეჩერებია. პოლიტ-განყოფილება ღრმათ სწამს, რომ გაზეთის შეჩერება ერთი კვირითაც კი დიდი დანაკლისი იქნება, როგორც კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში ისე სამეურნეო მუშაობის საქმეში ქართულ ნაწილებში. ამიტომ გაზეთი ისევ თქვენ ლეგიონებმა, ათასეულებმა და ასეულებმა უნდა დააყენოთ ფეხზე. ამიტომ გიბრძანებთ: საჩქაროთ 25 ივლისიდან შეუდგეთ გაზეთის კვირეულის ჩატარებას. გააშუქეთ გაზ. „წითელ არმიელი“-ს მნიშვნელობა და გამონახეთ სახსარი, სალამოების მოწყობით, თითო დღის ჯამაგირის გადადებით და სხვა. დაუკავშირდით პარტიულ კომიტეტებს და საბჭოებს, ალკსაკომებს კვირეულის ხეირიანად ჩასატარებლად. სასწრაფოთ გამოგზავნეთ საშუალო ფულიდან ხვედრი ფული, პროცენტები პოლიტგანყოფილების სახელზე.

ბრძანება ესე სასწრაფოთ გადაეცეს ნაწილებს და წაკითხულ იქმნას ყველა ლეგიონებში და ბატარეიებში.

ქართულ დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტგანყოფილების უფროსი: თენგიზ ჟღენტი.

საგიტაციო-საპროპაგანდო ნაწილის უფროსი ეჩიკოვი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც.

ტირაჟი 12.00

სამხედრო სტამბა.